

შპს "ედელვაისი-2007"
ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის,
რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	3
2. მომზადების საფუძველი	4
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3.1 ვალუტა	5
3.2 ძირითადი საშუალებები	5
3.3 არამატერიალური აქტივები	7
3.4 მოგების გადასახადი	7
3.5 მარაგები.....	8
3.6 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	9
3.7 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9
3.8 ფული სახსრები და მათი ექვივალენტები.....	9
3.9 კაპიტალი.....	10
3.10 მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10
3.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები.....	10
3.12 ამონაგების აღიარება	10
3.13 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები.....	11
3.14 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11
3.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები.....	12
3.16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
7. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	13

8. მარაგები.....	13
9. სხვა მოკლევადიანი აქტივები	14
10. ძირითადი საშუალებები	14
11. არამატერიალური აქტივები	15
12. სხვა გრძელვადიანი აქტივები	16
13. სავაჭრო ვალდებულებები.....	16
14. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ.....	16
15. გრძელვადიანი ვალდებულებები და ნასესხები სახსრები	17
16. საგადასახადო ვალდებულებები	17
17. სხვა ვალდებულებები	17
18. საკუთარი კაპიტალი	18
19. გაყიდვების თვითღირებულება	18
20. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18
21. შემოსავლები	19
22. ხარჯები.....	19
23. პირობითი ვალდებულებები	19
24. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები.....	21
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	21
26. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	22
27. ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ.....	24

შინაარსი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ედელვაისი-2007“ (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 19 აპრილს 2007 წელს ქ.წყალტუბოში. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 221279300.

კომპანიის პარტნიორები 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან შემდეგი პირები:

53001015965, ხათუნა მაღლაკელიძე - 25%;

53001001235, ნანა მაღლაკელიძე - 25 %;

53001001439, მამუკა საღარეიშვილი-25%

01010002919, ნინო გეგენავა-25%

კომპანიას თავის მხრივ არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

შპს „ედელვასი2007“-ს იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. წყალტუბო, რუსთაველის 11 .

კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სავადმყოფო საქმიანობა და სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი ხათუნა მაღლაკელიძე (პ/ნ 53001015965).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდში წარდგენილი აქვს ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო

ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში, ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2024 წლის 1 იანვარი	2.6894	2.9753

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემები დამრგვალებულია 1 ლარამდე სიზუსტით.

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო

მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ჯგუფი	წლიური ცვეთის განაკვეთი (%)
შენობა-ნაგებობა	20-35
მანქანა-დანადგარები	5-20
სატრანსპორტო საშუალებები	10-20
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	5-15
მრავალწლიანი ნარგავები	3-5

წრფივი მეთოდით ცვეთის დარიცხვისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე;
- სასარგებლო მომსახურების პერიოდის განაზღვრისას გაითვალისწინება ნარჩენი ღირებულება.
- ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვეტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდება. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ ანიჭებს ამონაგების კლასიფიკაციას.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

3.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი (ესტონური მოდელი), რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

- დივიდენდის განაწილება;
- სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.5 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

- ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;
- გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები:

- ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები;
- მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად;
- ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები;
- გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულა თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამისი გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება ან ხდება მისი გახრჯვა, მისი საბალანსო ღირებულება აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი წლის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიაზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა.

3.6 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან

რეალიზაცია ხორციელდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გადასინჯვა, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.7 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

3.8 ფული სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულის სახსრებს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე.

3.9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. დივიდენდების გატანისას გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

3.10 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სავალო ინსტრუმენტები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა და ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველაანარი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

3.12 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება მომსახურება/საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება ან გაწეული იქნება მომსახურება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით,

ფასდათმობების, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების გამოკლებით.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მიიღვეს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
 - კომპანია არ ინაწუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
 - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
 - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეალიზაციასთან დაკავშირებული, დაბრუნებადი გადასახადების გარეშე.

3.13 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3.14 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება წარმოებაზე გაწეული ხარჯებისაგან (ნედლეული და მასალები, და სხვა), ხარჯები (ნედლეული და მასალები), რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული რეალიზებულ პროდუქციასთან და მომსახურებასთან, თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

3.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში).

3.16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული სახსრები და მათი ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული სალაროში	1,555	2,346	354
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	215,744	238,863	317,559
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	80,974	795	1,958
	298,273	242,004	319,871

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	83,020	84,620	107,746
	83,020	84,620	107,746

7. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	0	0	0
მომწოდებლებზე და სხვა გადახდილი ავანსები	52,187	44,753	40,011
	52,187	44,753	40,011

8. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
საქონელი, მასალები და ნედლეული	30,955	62,371	55,390
სხვა	212,986	267,610	215,060
	243,941	329,981	270,450

9. სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიანი აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
წინასწარ გაწეული ხარჯები	0	0	0
	0	0	0
	0	0	0

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის მოწყობილობები და სხვა	სულ
01.01.2023	557799	2493995	15151	704233	16058	670460	17036	4474732
შემოსვლა		1169045	251260	86834		72189	2828	1582156
გადაფასება		473	0	24221		47605	449	72749
გასვლა		0	0	7409		14062	1537	23008
31.12.2023	557799	3663513	266411	807879	16058	776192	18776	6106629
დაგროვილი ცვთა		497535	0	311520	10304	413629	9423	1242411
01.01.2023		497535	0	311520	10304	413629	9423	1242411
პერიოდის ცვთა		138578	0	75526	1606	82910	2300	300920
გასვლა		0	0	7409	0	13424	1537	22370
31.12.2023		636113	0	379637	11910	483115	10186	1520961
წმინდა საბალანსო ღირებულება								
01.01.2023	557799	1996460	15151	392713	5754	256831	7613	3232321
31.12.2023	557799	3027400	266411	428242	4148	293077	8590	4585667

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის მოწყობილობები და სხვა	სულ
01.01.2024	557799	3663513	266411	807879	16058	776192	18776	6106629
შემოსვლა	0	331714	338892	140528	0	102414	0	913548
გადაფასება	0	0	0	2904	0	40200	273	43377

გასვლა	0	0	0	13268	0	12132	0	25401
31.12.2024	557799	3995227	605303	938043	16058	906673	19049	7038153
დაგროვილი ცვეთა	0	636113	0	379637	11910	483115	10186	1520961
01.01.2024		636113	0	379637	11910	483115	10186	1520961
პერიოდის ცვეთა		230202	0	83267	1606	99322	2436	416833
გასვლა		0	0	13268	0	12063	0	25331
31.12.2024		866315	0	449636	13516	570374	12622	1912464
წმინდა საბალანსო ღირებულება								
01.01.2024	557799	3027400	266411	428242	4148	293078	8590	4585667
31.12.2024	557799	3128912	605303	488407	2542	336299	6427	5125689

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები	სხვა არამატერ. აქტივები	სულ
01.01.2023	0	4909	4909
შემოსვლა		0	0
გადაფასება		840	840
გასვლა		0	0
31.12.2023	0	5749	5749
დაგროვილი ცვეთა	0	1952	1952
01.01.2023			0
პერიოდის ცვეთა	0	742	742
გასვლა		0	0
31.12.2023	0	2694	2694
წმინდა საბალანსო ღირებულება			0
01.01.2023	0	2957	2957
31.12.2023	0	3055	3055

01.01.2024	0	5749	5749
შემოსვლა	0	0	0
გადაფასება	0	0	
გასვლა	0	0	0

31.12.2024	0	5749	5749
დაგროვილი ცვეთა	0	2694	2694
01.01.2024			0
პერიოდის ცვეთა	0	742	742
გასვლა	0	0	0
31.12.2024	0	3436	3436
წმინდა საბალანსო ღირებულება			0
01.01.2024	0	3055	3055
31.12.2024	0	2313	2313

12. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
შენობა-ნაგებობაზე აღსადგენი დღგ-ის თანხა	0	0	0
მიღებული (გადასახდელი) ავანსის დღგ	0	0	0
	0	0	0

13. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	30,537	22,741	36,411
	30,537	22,741	36,411

14. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1	2	0
	1	2	0

15. გრძელვადიანი ვალდებულებები და ნასესხები სახსრები

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური იჯარა	212,500	231,250	0
გრძელვადიანი სესხები	2,161,742	1,996,678	1,469,190
	2,374,242	2,227,928	1,469,190

16. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ერთიანი ანგარიში - 101001000	0	0	0
გადასახდელი მოგების გადასახადი	0	0	0
დღგ-ის გაანგარიშება	2,876	0	0
საშემოსავლო გადასახადი	0	0	0
ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	0	0	0
ქონების გადასახადი	4,076	12,358	7,033
	6,952	12,358	7,033

17. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2023	31.12.2022
მიღებული ავანსები	2,201	2,201	2,201
ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	0	0	0
სხვა დარიცხული ვალდებულებები	0	0	0
საპენსიო შენატანი	0	0	0
გადახდილი ავანსის დღგ	0	0	0
	2,201	2,201	2,201

18. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
საწესდებო კაპიტალი	120,000	120,000	120,000
მირ.საშუალებების გადაფასების რეზერვი	427,086	383,710	310,592
მოგება/ ზარალი	2,844,404	2,521,140	2,027,929
-	<u>3,391,490</u>	<u>3,024,850</u>	<u>2,458,521</u>

19. გაყიდვების თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
გაყიდვების თვითღირებულება	680,875	593,893
	<u>680,875</u>	<u>593,893</u>

20. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
მიმდინარე სარემონტო და საექსპლუატაციო ხარჯები	116,867	90,639
რეკლამის ხარჯი	130	4,964
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	187	526
საპენსიო ხარჯი	7464	6,177
კომუნალური ხარჯები (წყალი, დენი, გაზი)	170,978	165,989
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	2,973	2,026
დასუფთავების და დერატიზაციის/დეზინფექციის ხარჯი	7,056	4,604
სხვა და სხვა მომსახურება	44,133	23,225
ბუკინგის და სხვა ტურ ოპერატორების მომსახურების ხარჯი	89,255	79,458
პროგრამული უზრუნველყოფა	2,846	3,102
სხვა საგადასახადო ხარჯი	43,728	39,260

საკანცელარიო ხარჯები	3,948	1,691
ბანკის საკომისიო	30,028	28,559
საქველმოქმედო ხარჯი	100	1,600
სხვა და სხვა ხარჯი	148,109	25,008
იურიდიული მომსახურება	0	612
დაცვის მომსახურება	1,830	1,644
წარმომადგენლობითი ხარჯი	165	3,440
ჯარიმები და საურავები	35	1,850
დაზღვევის ხარჯი	3,499	3,397
	673,331	487,771

21. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლებმა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3 219 647 ლარი, მათ შორის: საოპერაციო შემოსავლები - 3 159 608 ლარი, რომელიც მიღებულია მომსახურების გაწევიდან და არასაოპერაციო შემოსავლებიდან სულ - 60 039 ლარი, მათ შორის: სესხის თანადაფინანსება - 23 978 ლარი, დადებითი საკურსო სხვაობა - 33 165 ლარი, სხვა არასაოპერაციო შემოსავლები - 2 896 ლარი.

22. ხარჯები

საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა სულ - 673 331 ლარი, მათ შორის: საოპერაციო ხარჯები - 645,166 ლარი, ხოლო არასაოპერაციო ხარჯები - 28 165 ლარი, მათ შორის: კურსთაშორისი ურაცოფითი სხვაობა - 28 165 ლარი.

23. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვლადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი.

საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.

შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები.

საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურისაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ

ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევა, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

24. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

შპს „ედელვაისი 2007“-ს დირექტორი



ბ.მადლაკელიძე

26. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	298,273	242,004	319,871
სავაჭრო და სხვ მოთხოვნები	83,020	84,620	107,746
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	52,187	44,753	40,011
მარაგები	243,941	329,981	270,450
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	243,941	329,981	270,450
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0		0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	2,313	3,055	2,957
ძირითადი საშუალებები	5,125,689	4,585,667	3,232,321
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	5,805,423	5,290,080	3,973,356
ვალდებულებები	0	0	0
ფინანსური იჯარის ვალდებულება	212,500	231,250	0
სავაჭრო ვალდებულებები	32,738	24,942	38,612
მიღებული ავანსები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1	2	0
საგადასახადო ვალდებულებები	6,952	12,358	7,033
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2,161,742	1,996,678	1,469,190
მიღებული გრანტები	0	0	0

სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	2,413,933	2,265,230	1,514,835
საკუთარი კაპიტალი	0	0	0
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	120,000	120,000	120,000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2,844,404	2,521,140	2,027,929
გადაფასების რეზერვი	427,086	383,710	310,592
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3,391,490	3,024,850	2,458,521
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,805,423	5,290,080	3,973,356
სულ მოკლევადიანი აქტივები	677,421	701,358	738,078
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	39,690	37,300	45,645

შპს „ედელვასის 2007“-ს დირექტორი:



ბ. მაღლაკელიძე

27. ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

საქმიანობის შედეგები	2024	2023
ნეტო ამონაგები	3,159,608	2,680,592
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	3,159,608	2,680,592
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა.	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	(680,875)	(593,893)
საერთო მოგება	2,478,733	2,086,699
სხვა საოპერაციო შემოსავალი	60,039	23,772
დასაქმებულთა ანაზღაურება	(648,848)	(555,387)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(417,575)	(301,662)
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი	(203,252)	(148,600)
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(673,331)	(487,771)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,882,967)	(1,469,648)
საოპერაციო მოგება	595,766	617,051
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	595,766	617,051
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	595,766	617,051
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	0	0

ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	43,376	73,117
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	43,376	73,117
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	639,142	690,168
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3,024,850	2,458,521
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(272,502)	(123,839)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,391,490	3,024,850

შპს „ედელვაისი 2007“-ს დირექტორი:



ბ. მაღლაკელიძე